ეკლესიოლოგია

გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“
2018

ნაშრომში მოთხრობილია ჰაჯიასან-ბეგ ბექანიძისა და სხვა რჩეულ მამულიშვილთა თაოსნობით განხორციელებულ 1845 წლის ანტიოსმალურ გამოსვლაზე, მასში თეარ ბერიძის მონაწილეობასა და სამშობლოს თავისუფლებისადმი თავდადებაზე.

სარედაქციო ჯგუფი:
რამაზ ხალვაში
შოთა მამულაძე
ზაზა შაშიკაძე
ჯემალ ბერიძე
ჯემალ სურმანიძე
მერაბ მეგრელიშვილი

© სარედაქციო ჯგუფი — 2016

ჰიმნი თავისუფლებას

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
დადგეს ყიჟინის კორიანტელი,
რომ საქართველოს რწმენის აკვანი
კვლავ იდგეს ტურფა და სანატრელი.

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
მტერს ავით თვალი დაენისლება,
ვინც ჩვენ ერთმანეთს უცებ გაგვყარა,
სატრფოსთან შეყრას არ ეღირსება.

თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად.
მამულისათვის, მამულისათვის,
ძმებო, სიკვდილი ან გამარჯვება!

მოსჩანს, ამოდის მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია

თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია.

როგორ დაცხრება, როგორ დაცხრება
თავისუფალი ხალხის ბუნება?!
თავისუფლება და აღტაცება
დაუცხრომლობით აღესრულება.

მამულისათვის, მამულისათვის
ტყვია მიზანში მოსახვედრია
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია.

ჯანსუღ ჩარკვიანი

წინათქმა

საქართველოს ისტორია, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ მეფეების ისტორიაა და იქ ხალხის როლი არ სჩანსო, – წერდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. მართლაც, წარსულის ანალებშია ჩაკარგული არაერთი საამაყო მამულიშვილის სახელი. ჟამთააღმწერმა თუ გადმოცემებმა კანტიკუნტად შემოგვინახა მათი თავდადების ამსახველი ამბები... და სანამ დროა, სამზეოზე გამოვიტანოთ იმათი ღვაწლი, ჯერ კიდევ რომ შემორჩნენ ხალხის ხსოვნას. ქვემო აჭარის ზესოფლის მკვიდრი, თეარ ბერიძეც იმ არდასავიწყებელ პატრიოტთა ჩამონათვალშია.

მთელი 170 წელი გვაშორებს იმ დღიდან, რაც იგი ზვარაკად შეეწირა სამშობლოს

სიყვარულს. მამულისადმი ესოდენ ამაგს ყველა ეპოქაში ერთნაირი ღირებულება აქვს, ამიტომაცაა თეარის ამქვეყნიური დანატოვარი დავიწყებას რომ არ ემორჩილება. რთულ და ბობოქარ დროებაში მოუხდა მას ცხოვრება, მაგრამ წინააღმდეგობრივმა გზამ ვერ შეაფერხა მისი დაუოკებელი სწრაფვა ქვეყნის გამთლიანებაში შეეტანა პირადი წვლილი.

სამხრეთი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისას თეარს მომხდურთა წინააღმდეგ არაერთ უთანასწორო ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, სადაც მამულისადმი ერთგულებას, ვაჟკაცურ სულსა და შეუპოვრობას ყოველთვის ავლენდა, დამპყრობმა მისი ბრძოლისუნარიანობის გატეხვა ვერ შეძლო. სწორედ, ამ თვისებების მქონე ქვეყნის მიმართ გულანთებულ პატრიოტთა დამსახურებაა, რომ თეარ ბერიძისა და მისებრ ასეულობით თანამემამულის ბრძოლის

ველზე დაცემიდან 32 წლის შემდეგ აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. ქართველობისთვის თეარის დაუშრეტელმა შემართებამაც მიზანს მიაღწია. მის თავგამოდებას უქმად არ ჩაუვლია.

თეარ ბერიძე დღემდე მივიწყებული იქნებოდა, რომ არა მის წარმოჩენაში ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორის ბატონი ჯემალ ბერიძის წვლილი, რომელსაც მის შესახებ ბაბუა ახმედისგან და ქედის უხუცესი მცხოვრებლებისგან არაერთხელ მოუსმენია. ახმედ ბერიძე თეარის ძმისშვილი იყო და იმის მომსწრეც, ბრძოლაში დაღუპვის ადგილას ბიძიასთვის როგორ მოუწყვიათ წყარო. ხალხის ისტორიული მეხსიერება სათავეს სინამდვილიდან იღებს, იმ მოვლენის რეალობიდან, რამაც სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი თეარ ბერიძის სახელი შემოგვინახა.

* * *

თეარ ბერიძე დაიბადა 1818 წელს, ზეესოფელში ერთ-ერთ გამორჩეულ, ხუსეინ ბერიძის ოჯახში. კაიროში დაბადების გამო, ხუსეინს მეტსახელად ეგვიპტელს (მისირელს) უწოდებდნენ. თეარი მეტწილ დროს ხალხის წიაღში ატარებდა, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი პიროვნებად ფორმირებაში. ბუნებრივია, იგი ხალხის ტკივილითა და მისწრაფებებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა. ხალხისა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ძნელი და ნარეკლიანი ცხოვრების გზა გამოიარა.

გადმოცემით, თეარი ბავშვობიდანვე ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ძველისძველი სათავგადასავლო და საგმირო ამბები იტაცებდა. ატმოსფერო, სადაც იგი იზრდებოდა შესაფერისი გამოდგა იმისთვის, რომ მის სულში პატრიოტული გრძნობები

გაღვივებულიყო. იგი მამისეულ ჭერქვეშ მრავალჯერ შესწრებია ახლობელთა თავყრილობას, სადაც ქვეყნის სვე-ბედზე, სამშობლოსადმი თავდადებულ რჩეულ შვილებზე მსჯელობდნენ- ხოლმე. აქედან დაისადგურა მის არსებაში მამულის სიყვარულის განცდამ, რაშიც არანაკლები როლი უნდა შეესრულებინა საგვარეულოს ფაქტორსაც.

როგორც ცნობილია, ბერიძეებში, ოსმალთა ტყვეობისა და მომხდურის ძალდატანებით ძირეული გვარების ამოძირკვის მიუხედავად, განუწყვეტლად ცოცხლობდა ცოდნა შორეული წინაპრების შესახებ. მომავალი თაობები გულში ყოველთვის სათუთად ინახავდნენ ვისი გორისაც იყვნენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია ავხსნათ ცნობილი მეცნიერის, თ. სახოკიასგან ბერიძეების აჭარაში პირვანდელი სახით შემორჩენილ გვარებს შორის დასახელება (იხ. მისი „მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი)“, ბათუმი, 1985, გვ. 209, 210).

რაკი, სამშობლოსგან სამსაუკუნოვანმა განშორებამ მშობლიურ ფესვებს ვერ მოსწყვიტა და თხემით ტერფამდე ქართველობდნენ, ბერიძეთა გვარიშვილობა ხელუხლებელი სახით მოტანილად ჩაითვალა (ჯ. ბერიძე, „წიაღსვლები საგვარეულოს წარსულში“, ბათუმი, 2016, გვ. 89, 99). აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს თეარის ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგულება, ოჯახურ გარემოსთან ერთად, რითაც შეიძლება ყოფილიყო განპირობებული.

თეარ ბერიძე 27 წლის ასაკში ისე წავიდა წუთისოფლიდან ოჯახი არ შეუქმნია. იგი გამრჯეკაცობითა და მუყაითობით გამოირჩეოდა. ნამუსის ქუდის წმინდად ტარება აკვნით ჰქონდა ნაანდერძევი. იმდენად ძვირად უღირდა თითოეული ქართველის სიცოცხლე, რომ იმხანად გავრცელებული სისხლის აღების მანკიერ ჩვეულებას წინ აღუდგებოდა-ხოლმე.

ფიზიკური აღნაგობით გამორჩეულს ძლევაში ვერავინ სჯაბნიდა. არც ხმალდახ-მალ შერკინებაში ჩამოუვარდებოდა ვინ-მეს. უშიშარი უკან არასდროს იხევდა. უმ-ძიმესი განსაცდელის ჟამსაც კი სიამაყეს ინარჩუნებდა. მიზნის მისაღწევად შეეძლო ბოლომდე დახარჯულიყო. განსაკუთრებით თოფით სროლა ეხერხებოდა. იშვიათად ააცდენდა მიზანს.

ქვემო აჭარის ბერიძეთა ნაწილი ხომ ფილთა და კაჟიანი „მაჭახელას“ დამმზა-დებლები და მათი პირველი გამომცდელები ყოფილან. თქმულებებით, მომხდურებთან ბრძოლებში მეწინავეობას და მედროშეო-ბას (ბაირახტრობას) რომ კისრულობდნენ ხშირად (თ. კომახიძე, „აჭარის ენციკლოპედი-ური ცნობარი“, წიგნი I , ბათუმი, 2010, გვ. 329; ი. ბექირიშვილი, „აჭარის ისტორია გვარსახელებში“, ბათუმი, 1996, გვ. 60). ამასვე უნდა ადასტუ-რებდეს ბერიძეების ერთ-ერთი საცხოვრ-ებლის ტოპონიმიც „ბაირაღიძირი“, რომ-

თეარ ბერიძე (მხატვარი ჯ. გორგილაძე)

ელიც, სავარაუდოა, ყოფილიყო ადგილი, სადაც აქაურ მეომრებს დროშა ისე მყარად სჭეროდათ ხელში, რომ გადამთიელებთან შებმაში უდრტვინველად ეფრიალა.

თეარი გულსუფთა და იმედიანი პიროვნება იყო. უსამართლობას არასდროს ეგუებოდა. დაჩაგრულს გამოესარჩლებოდა-ხოლმე. ბოლომდე უერთგულებდა ადამიანს. მისი ყველაზე დიდი ღირსება ისაა მტრის მიმართ რომ იყო უკომპრომისო, რაც მის წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთხელ გამოავლინა კიდეც (ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105, 139).

* * *

თეარ ბერიძის პიროვნებაზე სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, უპრიანი იქნება ზოგადად გავაცნოთ მკითხველს თუ რა ისტორიული პროცესები უძღოდა წინ მის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას. მით უფრო, რომ სწორედ ამ მოვლენებს უნდა

განესაზღვრა მისი დამპყრობლის მიმართ დაუმორჩილებლობა და შეურიგებლობა.

ოდესღაც აჭარა ტაო-კლარჯეთის ნაწილს წარმოადგენდა. იმ ტაო-კლარჯეთისა, სადაც დაირწა ქართული ცივილიზაციის აკვანი და, ერთ-ერთი ვერსიით, IX-X საუკუნეებიდან, თეარის საგვარეულოს წარმოშობის ადგილად ითვლება (ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15). ილიას სიტყვებს რომ დავესესხოთ „სწავლა, განათლება, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული... იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“, რაც, ნაწილობრივ, შესაძლებელია, ბერიძეთა ფუძე „ბერის“ იმ ინტერპრეტაციას უკავშირდებოდეს, სამხრეთი საქართველოს ეკლესია-მონასტრებში მძლავრი სასულიერო და მწიგნობრული საქმიანობით რომ გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, ეს დიდი აღმავლობა შეაფერხა ბიზანტიის იმპერიისა და მისი ბრწყინვალე კულტურის ცენტრის კონსტანტინეპოლის დაცემამ (1453 წ), რამაც

ბოლო მოუღო საქართველოში ელინისტური ცივილიზაციის შემოდინებას.

ამის შემდეგ, ჩვენს ქვეყანას ოსმალები დაუმეზობლდნენ და თეარ ბერიძის მშობლიური კუთხის არსებობას დიდი საფრთხე დაემუქრა. თავდაპირველად მომხდურებმა ქართულ მიწაზე მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ტრაპიზონის დაცემის დროიდან, 1461 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერმე მოხდა ოსმალთა ძლევა ქართული ხმლით. განსაკუთრებით გამოსაყოფია 1519 წელს ბათუმთან გამართულ ბრძოლაში მტერზე გამარჯვება, როცა მას 25 ათასიანი ლაშქარი შეაგება კახაბერმა. სამარედ უქციეს მაშინ გადამთიელებს ბრძოლის ველი მაჭახლელ-მარადიდელებმა (თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19).

საბოლოოდ, მაინც უცხოტომელმა იმძლავრა. 1560-იანი წლებიდან აჭარა ოსმალთა ხანგრძლივი ტყვეობის ქვეშ მოექცა, რასაც საეკლესიო და სამეურნეო ცხოვრე-

ბის დაქვეითება, მოსახლეობის იძულებითი გამაჰმადიანება, მისი ეროვნული ცნობიერების ხელყოფა მოჰყვა. დამპყრობთა ანტიეროვნული პოლიტიკის მიზანი იყო აქ მცხოვრები ქართველების სრული გადაშენება, მათი ზნე-ჩვეულებების მოშლა, სულიერი მემკვიდრეობის განადგურება. ამიტომაც ამ მხარეში სამასი წლის განმავლობაში „არ გამოცემულა არც ერთი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი“ (ხ. ახვლედიანი, „სამხრეთი საქართველოს ბიბლიოგრაფია“, ბათუმი, 1960, გვ. 7), „...უფრო მეტიც... არ აშენებულა არც ერთი ეკლესია, არ შექმნილა მხატვრული ტილო, არ არსებობდა ქართული სკოლა...“ (ა. ჯიბლაძე, „მამია ვარშანიძის შემოქმედება“, ბათუმი, 2000, გვ. 42).

მომხდურებმა ჩვენს მიწა-წყალზე ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყები დააარსეს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაეთს შეუერთეს. ოსმალთა მიერ სამხრეთი საქართველოს დაპყრობის შემდეგ აქ მიწების ფლო-

ბისა და სარგებლობის უფლება მხოლოდ მუსლიმან სამხედრო პირებს ეძლეოდათ... ასე, რომ სულთანი აქაურთა გამაჰმადიანებისთვის, გარდა ცეცხლისა და მახვილისა, მიმართავდა ეკონომიკურ იძულებას. ან გამუსლიმანება, სამხედრო სამსახურში შესვლა და ფიზიკური არსებობისთვის მიწის შენარჩუნება, ან მამულის, ქონების დაკარგვა და გადასახლება (ხ. ახვლედიანი, „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ბათუმი, 1956, გვ. 88).

მოსახლეობა აღწერეს და დაბეგრეს სხვადასხვა გადასახადით. მომხდური ყოველმხრივ ქართული კულტურის კვალის გაქრობას ლამობდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით „...აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავებისგან ჩასაცმელ ჩუსტებს, ქალამნებსა და სხვა რამეებს აკეთებდნენ (იხ. მისი „ქართველების გამაჰმადიანება“, თბ., 1907, გვ. 81). ამიტომაცაა, რომ სამხრეთი საქართველოს XX საუკუნის წინანდელი პერიოდის წერილობითი მასა-

ლებიდან თითქმის არაფერი მოიპოვება და კვლევების წარმოება ნაწილობრივ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებზე, გადმოცემებსა და ტოპონიმებზე დაყრდნობით გვიხდება.

განსაკუთრებული იერიში იქნა მიტანილი ქრისტიანულ რწმენაზე. ოსმალთა ბატონობის დასაწყისში, ამის ერთ-ერთი გამოვლენა უნდა ყოფილიყო შემოსავლების დაანგარიშებაში სანთლისა და კანდელების სახლების (ეკლესიები) შეტანა, რაც, როგორც ჩანს, დაბეგვრას ექვემდებარებოდა („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები", მთარგმნელები – ზ. შაშიკაძე, მ. მახარაძე, თბ. 2011, გვ. 161; ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95).

დროთა განმავლობაში მამაპაპურ მრწამსზე ზემოქმედებამ აგრესიული სახე მიიღო. დაიწყო მონასტრების მეჩეთებად გადაკეთება, რომლის წინაც ოსმალები „... სალოცავებში კოცონებს ანთებდნენ და შემდეგ წვერმოლესილი იარაღებით გულმო-

დგინედ ფხეკდნენ ფრესკებს (Е. Такаишвили, „археолегическая экспедиция 1917 года в южной провинции Грузии“, тб., 1952, стр. 35).

ხალხი ძირძველ სარწმუნოებას არ თმობდა, მტერს არ ეგუებოდა, რის გამოც მათ არაადამიანურად აწამებდნენ. ადგილი ჰქონდა აქაურთა მასიურ განადგურებასაც. აჭარის მოსახლეობის ისტორიულმა მეხსიერებამ ქრისტეს სჯულისადმი წინაპართა თავდადებისა და ერთგულების არაერთი გადმოცემა შემოგვინახა.

თქმულებით, ქრისტიანობისთვის ყველაზე დიდი ბრძოლა თეარისა და სხვა გვარების სამკვიდროს, დანდალოს, მოსახლეობამ გამოიარა. ამათი გმირობის საქმენი ყველასთვის საკვირველი და სამაგალითო ყოფილა. „...თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და მტერთან გამოვიდნენ საბრძოლველად. ამათ გადაწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის რჯულზე უნდა დავრჩეთ, ანდა დავწყდეთო. ჩვენი გათათრება

არ შეიძლებაო ... ოსმალნი ათასობით დახოცეს“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71).

მტრის მიმართ ადგილობრივთა წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, რომ ზ. ჭიჭინაძის თქმით, აჭარელთა შეუდრეკელობით მომხდურმა მათი გათათრება შეაჩერა“... რადგანაც მთელს თავის სიცოცხლეში აჭარელნი მოუსვენრათ იბრძოდენ. აჭარამ, მაჭახელამ, ზეგანმა და ლივანამ სჯულის გამო 100 წელზე მეტი იომა... იყვნენ ისეთნიც, რომლებიც მამა-პაპის სჯულით და რწმენით 1800 წლებამდის დაშთენ...“ (ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი“, ბათუმი, 1911, გვ. 86).

მათ შორის, თეარის ფუძე ზესოფელში, რის შესახებაც სოფლის სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ძველი თქმულებების კარგად მცოდნე და წიგნიერ პიროვნებას, აწგარდაცვლილ ახმედ (შოთა) ბერიძეს ახალგაზრდობისას ადგილობრივ ხანდაზმულთაგან გაუგონია. იძულებითი ვალმოხ-

დის მიზნით, ჯამეში მისვლის შემდეგ, აქაურთა შთამომავლები ქრისტიანულად ლოცულობდნენ და შესაბამის რიტუალებსაც ასრულებდნენო.

არსებობს გადმოცემა აჭარის გამაჰმადიანების პერიოდში თეარის საგვარეულოს წარმომადგენელთა სამღვდელმსახურო მოღვაწეობაზეც, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობას იმით აგრძელებდნენ, რომ დარბაზებში მალულად წირვას აღავლენდნენ (ჯ, ბერიძე, „მამა“, ბათუმი, 2012, გვ. 34).

უფრო მეტიც, თქმულებით, გვარის ზოგიერთი სასულიერო პირი გამაჰმადიანებას სულაც წინ აღდგომია, რისთვისაც ერთ-ერთი მათგანი, მღვდელი ფარნა, ოსმალებს ქვევრში ჩაუსვამთ, ღვინო დაუსხამთ და უწამებიათ (ი. ბექირიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე).

ბერიძეებით კომპაქტურად დასახლებული ზესოფელი ღვთის სამსახურისადმი ერთგულების კონტექსტში შემთხვევით რომ

არ გვიხსენებია ადასტურებს გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც, ბერად აღკვეცა სოფლის მოსაზღვრე ბეთლემის სამონასტრო კომპლექსზე ხორციელდებოდა, საითკენაც მიმავალ გზას სიახლოვისა და მოხერხებულობის გამო სწორედ ზესოფლის გავლით გადიოდნენ.

გარდა ამისა, აქვე, კოლომბრისისა და ამოღმართის ტერიტორიაზე, ოდითგან მოქმედებდა ეკლესია და საყდარი, ანუ ძალუმად ჩქეფდა სამონასტრო ცხოვრება. ამის მტკიცებულება დღემდე შემორჩენილი ტოპონიმებიცაა, ნაჯვარიხევის, ზედაშესა და საყდრიძირის სახელწოდებით. სამწუხაროდ, მტრის მსახვრალ ხელს აჭარის სხვა ეკლესია მონასტრებთან ერთად, ვერც საყდრიძირის ტაძარი გადაურჩა, რომლისგანაც ახლა მხოლოდ ბალავრის ნაშთებია შემორჩენილი (ჯ. ბერიძე, „წიაღსვლები საგვარეულოს წარსულში“, ბათუმი, 2016, გვ. 47, 48).

თუ აქ მოყვანილ გადმოცემებს დაეჯერება, მაჰმადიანობის მოძალებისას, ძირითადი საცხოვრისის ხანგრძლივი ღვთისმოსაობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ – თეარის მომხდურისადმი შეურიგებლობის ერთ-ერთი მიზეზი წინაპართა მრწამსისადმი მოკრძალებაც იქნებოდა, მით უფრო, რომ მტერთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ იგი ზესოფლის შუაჭალის მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ საძვალეში მიაბარეს მიწას (ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76, 146, 147).

სხვათა შორის, ზესოფლის საყდრიძირი მდებარეობდა ვაკე ადგილას, სქემარქიმანდრიტი სისოს (სერაფიმე ბერიძის) წინაპართა უძველეს სამკვიდროში. სქემარქიმანდრიტი სასულიერო სფეროში დღემდე აქტიურად მოღვაწეობს. საგვარეულო ღვთისმსახურების ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს, ასევე, მისი ვაჟი, წარმოშობით თეარის კიდევ ერთი თანასოფლელი, დე-

კანოზი ბასილი. ამავე განზომილებით საყურადღებოა, რომ, სხვა ატრიბუტებთან ერთად, ბერიძეთა საგვარეულო გერბში ტაძარს გამორჩეული ადგილი აქვს მიკუთვნებული.

* * *

ოსმალთა ტყვეობის სხვადასხვა ეტაპზე მათ მიმართ აჭარლების შეურიგებლობის ერთ-ერთი ფორმა გახლდათ სარწმუნოების შესანარჩუნებლად და მომხდურთან ბრძოლის საწარმოებლად აქაურთა მიერ მშობლიური ალაგების მიტოვება და მიუდგომელ ადგილებსა თუ საქართველოს სხვა მხარეებში გახიზვნა. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა, სულთნის მოხელეთა 1560-1570-იანი წლების აღწერით, თეარის წინაპართა დროინდელ ზესოფელში მხოლოდ 5 კომლი რომ ირიცხებოდა, 5000 ახჩა გადასახადით.

მოსახლეობის ნაწილი, ვინც უარყო ქრისტიანობა აჰყარეს და ოსმალეთის გზას გაუყენეს. სულ აჭარიდან გადასახლებულ იქნა ათეულათასობით მცხოვრები („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, გვ. 90; თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, იქვე).

ოსმალთა ოკუპაციისას გახიზვნასა და ძალადობას ვერ გადაურჩა ვაზიც. თეარ ბერიძის მამისეულ ოჯახში იმთავითვე მარანი არსებობდა საწნახლითა და არაერთი ქვევრით, რამაც, მომხდურისგან ვაზის ამოძირკვის გამო, თანდათანობით ფუნქცია დაკარგა. ამიტომაც მამაპაპებმა ვაზი ბეთლემის მთის მისადგომებთან მდებარე ტყეში გადამალეს და ბოლომდე შემოინახეს. ისევე, როგორც ფუტკარი, რომლის ფიჭაში შემავალი ცვილიდან სანთელს ამზადებდნენ, რათა უფლისთვის მიტევება და მოწყალება ეთხოვათ (ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, 93, 95).

ამით წინაპრები ოდითგანვე დამკვიდრებულ ტრადიციებს სათუთად უფრთხილ-

დებოდნენ. სახლეულობის მიდგომისა და განწყობილების შესაბამისად, ამ განცდას, რასაკვირველია, თეარის არსებაშიც ექნებოდა გადგმული ფესვები.

* * *

მართალია, აჭარა ოსმალთა ხელქვეითად ითვლებოდა, მაგრამ მათი ბატონობა ნომინალური იყო. აქაურები სულთანს გადასახადს არ უხდიდნენ და რეგულარულ სამხედრო სამსახურში არ გადიოდნენ. დამპყრობთა წინააღმდეგ გამოსვლები აქ არასდროს შეწყვეტილა. ქვეყნისთვის სხვისი ნების თავზე მოხვევის პოლიტიკა ქართველი ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რასაც მოწმობს ის გამუდმებული აჯანყებები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში ხდებოდა ოსმალთა გაბატონების პირველი დღიდან უკანასკნელამდე (ხ. ახვლედიანი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი, 1978, გვ. 6).

მათ შორის გამოვყოფთ რამდენიმეს: 1668 წლიდან 1697 წლის ჩათვლით აჭარა ხუთჯერ აუჯანყდა მომხდურს, შემდგომი გამოსვლებიდან საყურადღებოა 1737 და 1774 წლების აჯანყებები, XIX საუკუნის მოვლენებიდან კი 1832 წლიდან 1876 წლამდე მოწყობილი შვიდი აჯანყება.

აჭარაში მომხდარი ანტიოსმალური გამოსვლებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აჯანყებები 1844-1850 წლებში განხორციელდა, რაც თანზიმათის უმკაცრესი რეფორმისა და სხვა გამოუვალი მდგომარეობის პირდაპირი შედეგი იყო. ისინი ეროვნული შეგნებისა და პატრიოტიზმის გამოვლენად უნდა იქნას მიჩნეული (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 199).

გადმოცემებით, თეარ ბერიძე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1830-იანი წლების მიწურულიდან ებმება, თუმცა ყველაზე მასშტაბური მაინც მისი 1844 წლის 5 ათასიან აჭარელთა აჯანყება-

ში მონაწილეობაა, როცა უყოყმანოდ დგება თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში და უშიშარი მეომრის თვისებებს ავლენს. მართალია, ამჯერად საქმე საბრძოლო მოქმედებამდე არ მისულა, მაგრამ ამ გამოსვლებმა აჩვენა აჭარელთა მებრძოლი სულისკვეთება და ჩაგვრისადმი შეურიგებლობა.

შეუდრეკელობა მოდგმით მოსდგამდა თეარს, რომლის საგვარეულოს სიმტკიცე ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან ნათლადაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ბერიძე გაუტეხელი“ და პოემაში „ბახტრიონი“, სამშობლოსთვის თავგანწირული ბერიძეთა ოჯახის რვა მებრძოლით.

აჭარაში გავრცელებული ჰეროიკული თემატიკის გადმოცემებიდან საყურადღებოა თქმულება ჭაბუკ დავით ბერიძის ურიცხვ მტერთან გამოვლენილ გმირობაზე (იხ. ი. ბექირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61).

გვარის გაუტეხელობა ჩანს თეარის შტოს ბერიძეთა განსახლებების უძველესი ტოპონიმებიდანაც. ასეთებია მაგალითად, ნაქუხვარაი, ცხრაძმათი, სროლისი, სასრიქედი, გულატყე და სხვა, რომლებიც აქაურების მტრის პირისპირ მედგარი დგომის შინაარსს უნდა ატარებდეს და საფუძველს არაა მოკლებული, აღმზრდელობითი ზემოქმედება მოეხდინა თეარზე (იხ. ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104...107).

1844 წლის გამოსვლები თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა. მისი დაწყება განაპირობა ოსმალთა ადმინისტრაციის შესანახი „სალიანის“ გადასახადის გაზრდისა და მოსახლეობის ჯარში გაწვევის გადაწყვეტილებამ. ამ პირობების შესრულება ყარსის ფაშას ჩვენს კუთხეში ოფიცრად გამოგზავნილი სოლაღასისთვის დაუვალებია, რასაც ზემო და ქვემო აჭარის ამბოხებულნი წინ იმით აღუდგნენ, რომ ოფიცრისადმი უარის თქმის შემდეგ, დამპყრობლის ვალდებულე-

ბათა გადასასინჯად, შუამდგომლობისთვის აჭარის მმართველს, დუდი ხანუმ ბეჟანიძეს (მხარის წინამძღოლის ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის ქვრივი) მიმართეს. შეადგინეს განცხადების ტექსტიც სტამბოლში გასაგზავნად და წარმომადგენლებს გაატანეს. ცალკე არზა ერზრუმის სერასკირსაც გაეგზავნა. ამასობაში, სოლაღასმა თავს გაპარვით უშველა.

აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ ბრძოლა კუთხის სრულ გათავისუფლებამდე. გამოსვლების ხელმძღვანელთაგან ზოგიერთი ბრძოლის საწარმოებლად დუდი ხანუმისგან ორი ქვემეხის გადაცემას ითხოვდა, თუმცა უარი მიიღეს. სიტუაცია თანდათან მწვავდებოდა, რასაც მოჰყვა ხმები აჭარელთა დასაშოშმინებლად სულთნის მიერ ასკერთა გამოგზავნის გადაწყვეტილების შესახებ. დუდი ხანუმმა, როგორც გონიერმა ქალბატონმა, განჭვრიტა, რომ აჯანყებულები, სუსტი ორგანიზაციის

გამო, ოსმალეთის რეგულარულ ჯართან ვერაფერს გახდებოდნენ. ამიტომაც სისხლისღვრას პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება ამჯობინა და ოსმალეთის მმართველთან შეთანხმებას მიაღწია, რითაც აჭარის მოსახლეობა გადასახადების შემცირებასთან ერთად, სამხედრო ბეგარისგან გაათავისუფლეს (თ. კომახიძე, „დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი“, ბათუმი, 2002, გვ. 466).

სამწუხაროდ, როგორც დამპყრობლებისთვისაა დამახასიათებელი, სულთანთან მიღწეული შეთანხმება დროებითი აღმოჩნდა. ოსმალთა ნაწილობრივმა დათმობამ, ხალხიც ნაწილობრივ დააწყნარა. თანზიმათის რეფორმა, რომელიც გადასახადების რაოდენობას რელიგიური კუთვნილებით აწესებდა და ადგილობრივი ბეგებისა და გლეხობის უფლებებს მკვეთრად ზღუდავდა, ხონთქარმა აჭარაში მაინც გაატარა,

რის გამოც აქაურები ბრძოლისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ.

* * *

თქმულებებით, აჭარელთა მორიგი აჯანყება 1845 წელს დაიწყო. მისი ერთ-ერთი მოთავე გერმანიაში სამხედრო განათლებამიღებული ზენდიდელი ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძე ყოფილა, რომელსაც შემდგომში გენერლის წოდებამდე მიუღწევია. მას წვლილი შეუტანია ადგილობრივთა ციხე კოშკების გამაგრებაში. მხედართმთავრული ნიჭის წყალობით იგი, ცხადია, ბრძოლის სტრატეგიას და ტაქტიკასაც გეგმავდა. მასთან ერთად აჭარის ჯარს მეთაურობდნენ ალიქ-ოღლი შერვაშიძეები სოფ. ორცვიდან და სხვები (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117; ც. ბეჟანიძე, „ზენდიდის ციხე ბეჟანიძეთა საგვარეულო“, ბათუმი, 2013, გვ. 67, 68).

ზ. ჭიჭინაძის თქმით, აჭარაში შემოსულმა ოსმალოს დამსჯელმა ჯარმა უმალ

„...ბრძოლა ასტეხა, მაგრამ ვერა ქნეს რა. აჭარლებმა დაამარცხეს და გარეკეს. მალე მეორედ მოვიდა ჯარი. აჭარლები ვიწრო გზებში უსაფრთებოდნენ, კლდეებს ანგრევ-არღვევდნენ და მით უხოცავდნენ ოსმალთ ჯარს. მეორედ მოსული ჯარიც დაამარცხეს და განდევნეს...“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 207).

გადმოცემებით, თეარი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ფრონტის მეწინავე ხაზზე იმყოფებოდა. ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძის რაზმს, რომელშიც ის იყო გაწევრიანებული, მომხდურის გააფთრებული იერიშების მოგერიება უხდებოდა, თუმცა ყველა მეომარი მტკიცედ და უდრეკად იდგა თავის საბრძოლო პოზიციაზე. მთლიანობაში, აჭარელთა საერთო ლაშქარმა მტრის შეკავების ამოცანა პირნათლად შეასრულა. ოსმალებმა ძველი საქარავნე გზის მაღლობებზე აქაურთა თავდაცვითი ზღუდეების გადალახვა ვერ შეძლეს.

პირველი ბრძოლის ტაქტიკა იმგვარად იყო შემუშავებული, რომ ხელსაყრელ სიტუაციაში ჩვენი კავალერია, ტყეში გადამალულ მებრძოლებთან ერთად, კონტრიერიშზე გადასულიყო. რელიეფის სივიწროვეში, ძალთა მოულოდნელი გადანაწილებით, ეს იმდენად საზრიანად განხორციელდა, რომ დამპყრობი იძულებული გახდა დანაკარგებით უკან დაეხია. სწრაფ ულაყზე ამხედრებულმა თეარმა ბრძოლის ჟინი ცხენოსანთა შემადგენლობაშიც გამოავლინა, როცა ბოლომდე მისდიეს მტერს.

პირველი შეტაკებისგან განსხვავებით მეორეში მომხდურმა შეტევის მიმართულება შეცვალა და, მისი ვარაუდით, შედარებით სუსტი და გაუმაგრებელი მხრიდან, მდ. აჭარისწყლის გასწვრივ, ცხენიანი კაცისთვის განკუთვნილი გზა-ბილიკით, აჭარლების ძნელად მისაწვდომი პოზიციების შევიწროება სცადა, თუმცა მცირე განის ადგი-

ლმდებარეობაში აქაურთა მიერ მთაგრეხილებიდან კლდის ნანგრევებით ოსმალთა დახოცვისა და გზის ჩახერგვის გამო, ძალების თავმოყრა ვერ შეძლო და იძულებული გახდა განზრახვაზე უარი ეთქვა.

ოდნავ მოგვიანებით, ვიწრო გასასვლელებში ჩასაფრებულმა ქართველებმა მოწინააღმდეგეს გზა „მაჭახელების“ მასირებული ცეცხლით გადაუკეტეს და იმდენად შეავიწროეს, რომ ცოცხალი ძალის დანაკარგებთან ერთად, იძულებული გახადეს ადგილზე საომარი აღჭურვილობის ნაწილი დაეტოვებინა. გადამწყვეტ მომენტში თეარი, დანარჩენ აქაურ მსროლელებთან ერთად, დატენილი თოფებით შეუფერხებლად რომ ამარაგებდნენ, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მომხდურს. აჭარლებმა მეორე ბრძოლაც ნაკლები მსხვერპლით დაასრულეს.

რევანშის ასაღებად შემართულმა სულთანმა იმავე წელს მესამედ დარაზმა „...

ჯარი დიდრონის ზარბაზნებით. ოსმალო-
დან 20000 ჯარის კაცი ყოფილა გამოგზავ-
ნილი. ამათ შაერთებიან არზრუმის და ბაი-
აზეთის ფაშები თავიანთი ჯარის კაცებით,
ასე სულ 40000 ყოფილა...“ მაშინ, როცა
აჯანყებულთა რაოდენობა მხოლოდ 3-4
ათასს შეადგენდა (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი,
იქვე; ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118).

გადამწყვეტი ბრძოლა აკვედუკთან, ახ-
ლანდელი აწჰესის მიდამოებში გაიმართა,
აჭარისწყლის ხეობაში ერთ-ერთ ყველაზე
ვიწრო ადგილას. როგორც კი შეატყვეს,
რომ ჩასაფრებულთა ტყვიების სამიზნედ
იქცნენ და ვერაფერს გააწყობდნენ, ოსმა-
ლებს გადაწყვეტილება მიუღიათ ისევ უკან
დახეულიყვნენ, მაგრამ მოულოდნელად
ციხე შიგნიდან გატყდა. მომხდურმა მოის-
ყიდა ერთ-ერთი ადგილობრივი მოღალატე,
რომელმაც მტერს სოფ. ხოხნის მხრიდან შე-
მოვლითი გზა ასწავლა და ერთდროულად
ორი მხრიდან შეტევის შესაძლებლობა გა-

აკვედუკი

უჩინა. ბრძოლის ბედი ოსმალთა სასარგებლოდ სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა. ასკერთა შეტევის შუაგულში აღმოჩენილი ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძის რაზმი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

სამალავში ჩასაფრებული თეარი ზემოდან თვალნათლივ ხედავდა, მდინარის დაბალი კალაპოტის გამო, როგორ გადმოდიოდა აჭარისწყალზე ათჯერ მრავალრიცხოვანი მტერი, რომელიც აქაურთა მაღლივ პოზიციებამდე მიღწევას კლდოვანი ქედის მოსაზღვრე ტყის ავლით ცდილობდა.

მართალია, მათ ადგილობრივები თოფების სროლითა და წინასწარ შეგროვებული კლდის დიდი ლოდების დაგორებით უსწრაფავდნენ სიცოცხლეს, მაგრამ ჭარბი მტრის შესაფერხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამას ემატებოდა ოსმალთა მხრიდან ბრძოლაში ქვემეხების ჩართვა და მექარავნეთა მეორე, ზემოთა გზიდან მათი ხელახალი შემოტევა, რამაც აქაურებს და-



გადამწყვეტი ბრძოლა
(მხატვარი გ. გუჯაბიძე)

მატებითი ძალების ამ მიმართულებით გადასროლა აიძულა. ქართველთა ალყაში მოქცევა გარდაუვალი ჩანდა. ჩვენი ლაშქრის დანაკარგები იზრდებოდა.

ასეთ მძიმე და გამოუვალ ვითარებაში თეარი თანარაზმელების გადასარჩენად, ღებულობს ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას თავის გაწირვის შესახებ. როგორც გამოცდილი მსროლელი, ადგილზე რჩება და სამალავიდან მარტო განაგრძობს სროლას. მტრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, თეარი საფარში შეუმჩნევლად გადაადგილდებოდა და იქ განლაგებული სათოფეებიდან ცელავდა ასკერებს. მანამდე უწევდა წინააღმდეგობას გადამთიელს, სანამ დატენილი თოფები არ გამოელია. მტერი გაოგნებული დარჩა, როცა, მსროლელთა ჯგუფის ნაცვლად, სამალავში თეარის მეტი ვერავინ აღმოაჩინა. გული იმით იჯერეს, რომ სწორუპოვარ მებრძოლს თავის მოკვეთით მოუსწრაფეს სიცოცხლე.

თეარ ბერიძის ასეთი თავდადება სამშობლოსადმი გულმხურვალე ერთგულებით იყო ნაკარნახევი, რითაც მან გაიმეორა ერის იმ პატრიოტთა გმირული მოქმედება, რომლის ანალოგი საქართველოს ისტორიაში არაერთია. ასე გაიგივდა თეარი ქვეყნისთვის მარტვილთა სახელებთან.

ბრძოლის დასრულების შემდეგ, შებინდებისას უთავო იპოვეს მისი ცხედარი. ზესოფლის შუაჭალის ქრისტიანულ საძვალეში თეარის სხეული თავდაპირველად ამ სახით მიაბარეს მიწას. ცოტა ხნის შემდეგ თავიც მიაგნეს და პატრონის გვერდით მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

შემდგომში იმ ადგილას, სადაც ეს ბრძოლა გაიმართა, თეარის მშობლებს შვილის სულის მოსახსენიებლად წყარო მოუწყვიათ, რაც გასული საუკუნის 70-იან წლებში გზის რეკონსტრუქციისას აუღიათ და თეარ ბერიძის ხსოვნა თვალსაწვდომი სახით აღარ შემორჩენილა. სამაგიეროდ, ხალხის

ზესოფლის შუაჭალის საფლავი

მეხსიერებაა უკვდავი, რომელიც არავის და არაფერს ივიწყებს. სანთელ-საკმეველი თავის გზას არასდროს კარგავს (ჯ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145, 147).

მთავარი სიმდიდრე ადამიანისთვის ხალხის სიყვარული და დაფასებაა – ამ მრწამსით განვლო წუთისოფლის ხანმოკლე დღენი თეარ ბერიძემ, რომლის ხსოვნას პოეტმა ჯემალ სურმანიძემ ლექსი მიუძღვნა:

„არ უწერია სიკვდილი
გმირს უშიშარს და ჩაუქსა,
უთანასწორო ბრძოლაში
მომხდურს მედგრად რომ დაუხვდა.
არ შეეპუა მტრის ურდოს
და ბრძოლის ველზე დაეცა,
არად ჩააგდო სიცოცხლე
ოღონდ სამშობლო დაეცვა.
რჩეულს თუ ძალუძს ამქვეყნად
უკვდავყოს თვისი სახელი,
არასდროს დაიხურება
მისი ხსენების სარკმელი.
ხსოვნას გულადი ვაჟკაცის
მუდამ აქვს ნედლი ძირია,
თავდადებული რამდენი
გვყოლია ქვეყნად შვილია.
იმისთვის ვჩნდებით, რომ მამულს
დავაძლევინოთ ჭირია“.

ჭეშმარიტი ერისკაცის მისია მამულზე ფიქრით უნდა საზრდოობდეს. ადამიანის შრომა და გარჯა, მის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, ქვეყნისადმი დამსახურებით ფასდება, მაგრამ ეს ყველას როდი გამოსდის.

„მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ის თუ არ დაიწვა, სიბნელეს ვინღა გაანათებს?“ – უთქვამს ბრძენს. თეარ ბერიძე და მისი მრწამსის მამულიშვილნი, მართლაცდა, მთელი არსებით იწვოდნენ, რათა წყვდიადი გაერღვიათ და სხვებისთვის გზა გაენათებინათ. გზა, რომელმაც საქართველოს გამთლიანება უზრუნველყო, ჩვენს კუთხეს ფიზიკური არსებობა და თავისთავადობა შეუნარჩუნა.

ბოლოთქმა

საუკუნე-ნახევარზე მეტი გავიდა თეარ ბერიძის დროებიდან, თუმცა ჩვენი ქვეყანა კვლავ ტერიტორიული მთლიანობის დილემის წინაშეა. ბევრი თანამოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისთვის უთანასწორო ბრძოლებმა.

ოდითგან თავგანწირული გმირები აღანთებდნენ და შთააგონებდნენ მომავალ თაობებს, მედგრად დახვედროდნენ მტერს. მათი მაგალითის ძალა უკეთესი მომავლისთვის ჭიდილის რწმენითა და იმედით აღავსებდა ჩვენს ხალხს, რომელიც სწორედაც თავდადებულ შვილებში ჰპოულობდა „...თავის სულსა და გულსა, თავის

მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებ-
ლობას, თავის ხატსა...“ (ი. ჭავჭავაძე). ამი-
ტომაც არასდროს არ უნდა გარდაჰქრეს
სამშობლოსთვის შეწირულთა სულების ნა-
თება. სწორედ ასეთებზეა ზედგამოჭრილი
გალაკტიონის ნათქვამი:

„...დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...“

მხატვრული რედაქტორი
გურამ გუჯაბიძე

დიზაინერი და
დამკაბადონებელი
მალხაზ ფაღავა

ოპერატორი
მაია მესხიძე

კორექტორი
გუგული ბერიძე

ISBN 978-9941-9244-9-1